

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОВА“
ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-ღვინა ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქცია სტრიქონ-
ებისა ითვლება მთვან დაქრადისა და გიორგისა-
ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწავლავს და შეამოყ-
ვებს დასაბუჯდად გამოცხადებულ წერილებს, დაუბუჯდად წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბუჯდად აკლავს.
Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელითა- თვის 4 მანათი და 50 კაპ.

ჟინც სვედრ ფულის არ შეძობიანს, ივნისის პირველიდამ გა-
სეთი აღარ გაგვსაზნებან.

შინაური ქრონიკა

== ორშაბათს, მასის 27-ს, ქალა-
ქის მეხუთე განყოფილებაში, ლამის
პირველ საათზედ შუბალაოვის შენო-
ბას ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი გაჩნ-
და შენობის იმ ნაწილში, სადაც აბუ-
ვეის ჭურჭლის მაღაზია იყო. ამ სახლ-
ში ღამე არაინა რჩებოდა და ღუქ-
ნის დაკეტის შემდეგ ყარაულებს გა-
რედგან უყენებდნენ. ცეცხლი გაჩნდა
დაკეტის შენობაში და ისე ერთბა-
შად მოედო მთელს სახლს, რომ მი-
სი შეეღალა შეუძლებელი შეიქმნა. ცე-
ცხლის მქრობ რაზმს წყალი ვერ ემოვ-
ნა. რადგანაც ცეცხლ-წაკიდებულის
მაღაზიის გარშემო შენობების დასა-
ცველად არავითარი განკარგულება
არ მომხდარა—ცეცხლი იმათზედაც მა-
ლე გადავიდა. დაიწვა ორი შენობა.

ხალხში ლაპარაკი იყო, რომ ჭურჭ-
ლის მაღაზიას, თუ არ განგებ—ცე-
ცხლი ვერსადგან გაუჩნდებოდა.

== სოფელ ხარაგაულიდამა გვე-
რენ, რომ იქ წისკილის ახლო წყლის
რუში უპოვიათ დამღრჩვალი ახლოდ
დაბადებული ბავშვი. მეწისკილეს
დაენახა იგი, ამოვიდა, შეეტანა წის-
კილში და მაშინვე ხარაგაულის სოფ-
ლის მამასახლისისათვის გამოეცხადე-
ბინა.

ამ საქმეზედ მასის 24-ს მისულან
შორაპნის ექიმი, გამოამძიებელი და
მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ალა-
ვიძე. შქიმი ამტკიცებს რომ ცოცხა-
ლი ბავშვი ჩადებულა. საცოდავს
ბავშვს შუბლთან საფეთქელი ჰქონდა
შხოლოდ გატეხილი და სისხლი სდიო-
და. სხვაფრივ სრულიად ხალი იყო.
ბ. ალავიძე ძალიან ცდილობს აღმოა-
ჩინოს დამნაშავე.

ვიკტორ ჰიუგო

შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა,
შაბაშ საქმე მისგან ქმნილი.
... (შეგრავი*)
მს ბედნიერება — აკადემიაში მიღე-
ბა — ერთმა ოჯახის საზარელმა შემ-
თხვევამ მეტად ჩაუშხამა ვიკტორ ჰი-
უგოს. იგი ამ დროს იყო წასული სამო-
გზაუროდ სხვა-და-სხვა ქვეყნებში, სხვა-
თა შორის, მსაანიაშიაც. აქედამ უე-
ცრად გამოიხმო იგი ტრაგიკულმა
სიკვდილმა: სერიზობის დროს, მისი
ასული ლეოპოლინა და მისი სიძე,
შარლ მაკირი მილკიეში დამღრჩვა-
ლიყვნენ. სიძისა და ქალის შავი ბე-
დი, წარმოიდგინეთ, როგორ ააშფო-
თებდა ვიკტორ ჰიუგოს!
მაკირის ოჯახის საკუთარს მამულს
მილკიეში სენის მდინარე უფლის.
ზღვის მიქცევა-მოქცევა, რომელიც
რუანამდე მიადრეხს ხოლმე, დრო-
გამოშვებით ამ მდინარესაც აღლევებს.
მაგრამ ეს მოძრაობა არ აშინებდა
არმატორის ჩამომავლებს. ნავით გა-
სერიანება გადაწყვიტათ დიდი ბარქა-
ზის გასასინჯავად. ჩასხდნენ მასში სიცი-

ლით და მხიარულებით, მაგრამ უეცრად
ქარი ატყდა და ბარქაზი გადააბრუნა.
ლეოპოლინა ჰიუგო ეკიდება ბარქაზის
ნაპირს. ტალღები ცნობას ართმევენ.
მისი ქმარი სტაცებს ხელს, ცდილობს
ამოწევას, უნდა მოაშორებინოს ხე-
ლები; მაგრამ ქალი ფრჩხილებით მა-
გრად ჩაჰკვრია ხეს; ბარქაზი ძირს მი-
დის და სასოწარკვეთილი ქმარიც იღუ-
პება მასთან, ვისიც ხსნა ვერ შეიძ-
ლო.

მამამ ამის გამო დასწერა:
„პირველად გიყვით ვიყავ! რვა დღეს
მწარედ ვტიროდი. მიქენ, ყველანო,
რომელთათვისაც თქვენი ძვირფასი
იმედი ღმერთს მიუღია; მამანო და
დედანო, რომელთ სული ჩემი ტან-
ჯვის მზგავსს ტანჯვას დაუტანჯავს,
გამოგიცდიათ ყოველივე ის, რაც მე
განვიცადე. მე მინდოდა ქვეზედ
თავი მენალა და მომკვდარიყავ!“

აქვე გავკრით შეფიხნოთ, თუ მი-
კტორ ჰიუგომ რამდენი განსაცდელი
გამოიარა. მითქმის ყველა მისიანნი
დაეხოცენ. მისი ორი ძმა იმაზედ უწინ
მიიცვალა. ცოლი 1868 წ. მოკვდა.
მთხ შეიღოთგან, ლეოპოლინა და-
იღრა 1845 წ.; პირველი ვაჟი შარლი
მოკვდა 1871 წ. და დარჩა ორი შვი-
ლი შარლ და შანა, დღეს ჰიუგოს
დიდი გვარის ერთად ერთი მემკვიდ-
რები; მეორე ვაჟი შარლსუა ვიკტორ,

== სიღნაღილამ გვეწერენ: „ძლიერ
გვეღირსა ორი თვის დამწვარი გოლ-
ვისაგან ცის ნამი. ძლიერ ცული საქ-
მე დაყენა უდროვოდ მოსწრებულ-
მა გოლვამ საზოგადოდ მიწის მოსა-
ვალს და კერძოდ ყანებს.

მთელი მაზრის მინდვრები ისეა
გაწითლებული, თითქო მანისი-კი არა,
ავისტოაო. საქონელი ისევე ბევრს
ხმელზედ ჰყავს უბალახობის გამო. აქ
ხმა გავრცელდა, ვითომ ძიზიყში
ყანებში საქონელი შეუშვეს მოსაძო-
ვადო. მთუ მართლა ესე გაფუქდა
ძიზიყში ყანები, სწორედ სამწუხა-
როა, რადგან ძიზიყის მოუსაველობა
სიღნაღის მაზრასაც ბევრს აენებს:
ქიზიყელები იძულებულნი შეიქმნე-
ბიან გაუმადლო სიღნაღის სასწორს
მიმართონ. ჯერ ეხლავ, როდესაც
მოსავალი, რაც უნდა იყოს, კიდევ
კარგად არის, სასწორზედ ფქვილი უცებ
გამქირდა. წინად—70 კაპ. ფუთი
ფქვილი ღღეს 1 მან. და 20 კაპ.
განადეს; და ქრისტი-მოძის თევში
და იანვარში ეს ფასი, უცქველია,
აიწევს.

ამ ცნობას მასის 20-დამ გამოგ-
ზაენილს სიღნაღილამ უნდა დაესძი-
ნოთ იქიდანვე მოსული შემდეგი ამ-
ბავი: მართალია თბილისელმა ვაჭრებ-
მა დიდ-ძალი პური წაიღეს ქახეთისა-

შექსპირის მთარგმნელი, მოკვდა ორი
წლის უკან, 1873 წ., უცოლო; უკა-
ნასკნელი ასული ადელი, მეუღლედ
ჰყავდა ერთს ინგლისელ აფიცერს,
ბრანდვანტის კომენდანტს შერნესეიში,
სადაც პოეტო გადისხვეწა დევნულო-
ბის დროს. ცოლი ქმარს ინდოეთში
წაჰყვა. რამდენისამე წლის შემდეგ,
ადელ ჰიუგო დაქვრივდა და ჰუიიდამ
შეშლილი მეროპაში მოიყვანა ერთმა
ზანგის ქალმა, რომელსაც დაახლო-
ვებოდა. მამამ საავადმყოფოში შეი-
ყვანა თავისი ასული და კვირაში ერთ
ხელ ნახავდა ხოლმე.

ბრწყინვალე სამწერლო მოღვაწეო-
ბა ვიკტორ ჰიუგოსი ორად გაიყო,
რადგანაც პოლიტიკურ საქმეებშიაც
გაერია. აქ ურიგო არ იქნება, მისი
მწერლობის მეორე ხანის აღნიშვნამ-
დე, რამდენიმე სიტყვა ითქვას იმის პო-
ლიტიკური მოქმედების თაობაზედაც;
მით უმეტეს რომ ზოგიერთ მის ნა-
წერებშიაც აღიბეჭდა მისი პოლიტი-
კური მოქმედების კვალი.

1848 წლის რევოლუციამ რომ
იეღვა, მაშინ ვიკტორ ჰიუგო საფრან-
გეთის პერი იყო. მან მაღალ პალატ-
ში სხვა სიტყვებ შიორის წარმოსთქ-
ვა განდენის კანონის წინააღმდეგ
მშვენიერი, მკვერი სიტყვა; მასუკან
ითხოვედა ბონაპარტის დაბრუნებას. თე-
ბერელის რევოლუციამ პირველად

კენ თბილისილამ და მამა-სისხლა-
დაც დაუწყეს ყიდვაო, მაგრამ ამ
უკანასკნელ დღებში მოსულმა წვი-
მებმა ცოტა წამოაკაცხლოს ყანები
და უტბად დასწიეს ფასიც ვაჭრებმა, მაგ-
რამ ყიდვით მაინც არეინ ყიდულობსო.

იმედი კვლავ გაგვიღებია მოსაველი-
სა უკანასკნელი სამი დღის წვიმებმა
და ველებს შეუცვალეს დაქანებული
ფერიო.

== იქიდანვე გვატყობინებენ: „სა-
შინელი სიტყვები ცოტა არ იყოს
ხელს უწყობს სხვა-და-სხვა ავადმყო-
ფობას. სიღნაღი თუმცა არც უი-
მისოდ არის მოკლებული უჯანმრთე-
ლობას, მაგრამ ეხლა სიტყვმ უფრო
გააცხოველა სნეულება. მომეღელი,
ავადმყოფების პატრონი კი არხადა
სიანს. მთმცა სიღნაღის მაზრას ექიმი
ჰყავს, მაგრამ იგი აგერ სამი თვეა რაც
თბილისში განისვენებს და ამოდენი
მაზრა-კი უეჭვიოდ არის დარჩენი-
ლი“.

== სენაკის მაზრიდამ გვეწერენ,
რომ მთელს მაზრას და მეტად-
რე საქონილდოს მოედო ყვაეი-
ლი და ლამის არის მთლად გაგვი-
წყვიტოს ყმაწვილებიო; ისეთი დღე
არ გავა, რომ ერთი მიცვალებული

თითქმის შეაშინა იგი. პუატის ქუჩის
აღმრჩეველმა კომიტეტმა სადგუტა-
ტოდ აიყვანა იგი და 1848 წ. იენი-
სის 4 არჩენებზე. მეშვიდე დასახე-
ლა პიერ ლერუსა და ლუი-ნაპო-
ლეონის შორის. წესმდებელ კრებაზე
უმეტესობის სკამზე იჯდა; მაგრამ
თან ჰხედავდნენ, რომ იგი დემოკრა-
ტების დასისკენ გადასვლას ლამოდა.
ამ გვარად ხმა მისცა მარჯვენასთან
საერო სამუშაოების (ateliers nati-
onaux) მოსაზობისთვის და უარ ჰყო-
მასთანვე ერთად შრომის უფლება,
საადგილ-მამულო გადასახადი, სამ-
ხედრო ბადლობა (remplacement
militaire) და გრევისგან შემოტანი-
ლი საგანი, რომელიც სობდა რესპუ-
ბლიკის თავს-მჯდომარის ალაგს; მაგ-
რამ მან მისცა ხმა მარცხენასთან ერთად
სიკვდილით დასჯის მოსაზობაზედ, რომ
წინააღმდეგი გახდომოდა ლედრუ-
როლენისა და ლუი ბლანის დენას
და მოეშორებინა თავიდამ მთელი
პონსტიტუცია და სხვა ამ გვარი საგ-
ნები, რომელნიც მარცხენის უმთავ-
რესს წადილს შეადგენდნენ.
ვიკტორ ჰიუგო 1849 წ. ჰსნის
მშვიდობიანობას პრეზას; აქ წარმოსთ-
ქვა მშვენიერი სიტყვა, რომელიც თავ-
დება ასე:
„ჩვენს ძველს მეროპაში ინგლისმა
პირველი ბიჯი წასდგა და, თავის სა-

*) იხილეთ „დროება“ № 111.

მანც არ დასაფლავდა. მკლესიანთან გაგლა გაგვირდებოთ, ისეთი მყარალი სუნი დგას დასაფლავებულების გამოა; მთელი მაზრა ესეთს გაქირვებამა და მაზრის ექიმი კი ზის არხეინად სენაკში და ყურსაც არ იბერტყავს; მართალია ამცრელები გყვანან და უცრიან კიდევ ყვავილსა, მაგრამ ისინი გამოუტყდენ არიან, არც ასაცრელი ჩირქი უფარვათ, და ამისათვის მათი აკრილებიც ისე იხრებოდნენ ყვავილსაგან, როგორც აუცრელები. ღალატელებმა მაზრის ექიმმა ის სიკეთე მანც გაგვიწიოს, რომ დაიბაროს და ასწავლოს ამ ამცრელებს რიგინად აკრა და ჩირქიც კარგი მისცეს, თორემ ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩაეღრღინა და აღარ აკრევიდნენ ყვავილსა: სულ ერთია, არც ევა ჰმეფლისა.

ამგვარსავე საჩივარს მაზრის ექიმზედ გვწერენ დ. მჩიდან. ჩვენი მაზრის ექიმი, იწერება კორესპონდენტი, იქცევა თავის ნებაზედა; თუ რიგინი გასამსჯელ მხარეთვეს წავა ავადმყოფის სანახავად, თუ არა-და არ წავაო.

თავისუფალ კონომიური საზოგადოების უკანასკნელ კრებაზედ აკადემიკოს ბ. ბუტლეროვს უღაპარესია ჩაის მოყვანაზედ კავკასიაში; წარსული 1884 წლის აბრეშოში პროექტის ეფუძნა ამ საქმის გამოსაკვლევად კავკასიაში და ესეა გარდაუცხადი საზოგადოებისათვის თავის გამოკვლევას ნაყოფი. ჩაის მოყვანა კავკასიაში, ბუტლეროვის სიტყვით, დაიწყო კარონ-

უყურა მაგალითით, სხვა ერთ უთხრა: თქვენ თავისუფლები ხართ! საფრანგეთმა წასდგა მერე ბიჭი და უთხრა მათვე: თქვენ ბატონები ხართ! ახლა გადავდგათ მესამე ბიჭი და ყველამ ერთად საფრანგეთმა, ინგლისმა, ბელგიამ, ბერმანამ, იტალიამ, მეროპამ, ამერიკამ ერთხრათ ამავე ერთ: — თქვენ ძმები ხართ!

მიკტორ ჰიუგომ ის პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც მისდევდა ტრიბუნაზე, გადმოიტანა პრესაშიც; აგვისტოს 1-ს 1848 წ., დაარსდა ვაზეთი l'Evenement (აშბავი) ამ ზედწარწერით. „მკაცრი სიტყვილი ანარქიისა, ნაზი და ღრმა სიყვარული ხალხისადმი“. თანამშრომლებად ჰყავდა თავის ორი ვაჟი, შარლი და შრანსუა; პოლმორისი და ადვოკატ მაკირი, მისი დიდის ხნის ერთგული მეგობრები, უკანასკნელ წუთამდე; თეოფილ ბოტიე და ა. მიტუ. l'Evenement-მა მხარი მისცა ლუი ნაპოლეონის რესპუბლიკის თავმჯდომარეობის კანდიტატურას, რადგან მიკტორ ჰიუგოს მაშინ მსწამდა მისი პატიოსნება.

ძველად ამორჩეული კანონმდებელ კრებაში, მიკტორ ჰიუგო ხმას აძლევს სოციალურ და დემოკრატიულ მარცხენასთან, რომლის მჭევრმეტყველი მოთავე შეიქნა. რომისა და ათინის საქმეების; სწავლა-განათლებისა და არჩევნების რეფორმა, ბეჭდვითი სიტყვა, 1850 წ. საზოგადოდ კენჭის-

ცრვის დროს; კავკასიის ჩაი ჩინური ან ანის, როგორც ზოგსა ჰგონია; იგი აჩის იქაური ადგილობრივი. ბუტლეროვს გამოუცდა ეს ჩაი, შეუდარებია ჩინეთის ჩაისათვის და დაწმუნებულა, რომ იგი თავისის თვისებით არ ჩამოუვარდება ჩინურ ჩაისს. საზოგადოების კრებაზედაც შეუდარებიათ კავკასიისა და ჩინეთის ჩაი და განსხვავება ანა დაუნახეთ-რა.

თეიმურ-ხან-შურის მცხოვრებენი შეუდგამდობენ მთავრებასთან, რომ მათ ქალაქში განისნას სამეურნეო სასწავლებელი.

შაბათს, ივნისის, 1-ს ყარა-მურზა და სომხის ახალგაზდა მსატყარი ბაშინკაგანი სასაფხულეო თაქტში გამართვენ კონცერტს ცოცხადის სურათებით. ყარა-მურზას მოძღვრადთა დასი 15 კაცისაგან შესდგება. ცოცხადის სურათისი შეესაბამებინო თვით სიმღერებს.

უცხოეთი

ბერმანია. ბისმარკი ძალიან დაუახლოვდა ამ უკანასკნელ ხანებში სპარსეთს. აქამდის ბერმანის სრულებით არ ჰყოლია წარმომადგენელი სპარსეთში, რადგან საქიროდ არა სთვლიდა ეს სახემწიფო, რომ რაიმე დიპლომატიური კავშირი ჰქონოდა სპარსეთთან. მრთ დროს თვით ბისმარკი ამბობდა, რომ ჩვენ აღმოსავლეთისაკენ არავითარი საქმე არა

ყრის შესაზღვრა, 1851 წლის კონსტიტუციის განხილვის პროექტი, — ყოველივე ეს შესანიშნავის მჭევრმეტყველობის საგანს აძლევს. მისი სამი წლის განმავლობაში ნიადაგი ბრძოლა მონტალაბერთან ყველამ დიდი თანაგრძობით მიიღო. ის იყო მისი მოქცევის ნიშანი. მოწინააღმდეგენი ხშირად მონარქიულსა და ნაპოლეონის განმადიდებელს ლექსებს უხსნიდნენ. მრთ დღეს, როდესაც იგი ლაპარაკობდა რომის საქმეებზე, მონტალაბერმა წაუკითხა ერთი მის ახალგაზღვრების ნაწარმოებთაგანი. მიკტორ ჰიუგომ ამ სიტყვებით გააჩუმა იგი: „მე ვიცავი იტალიას ისე, როგორც ბ. მონტალაბერმა დაიცვა პოლმა. მაშინ ჩემი მხარე ეჭირა, ახლა კი ჩემი წინააღმდეგია. ის სულ მარტივი მოსაზრებით აიხსნება: იგი გადმოსულა იმთ მხრიდამ, რომელთაც ავიწროებენ, მე კი ვრჩები მათს მხარეზე, რომელნიც შევიწროებულნი არიან“.

როდესაც ნახა რომ ლუი ნაპოლეონი ცდილობს იმპერიის დაარსებას, მძინვარე ბრძოლა აუტყნა. მას ეძახდა ნაპოლეონ პატარას და ადვოკატულას. 1851 წლის ერთ საშინელ სხდომათაგანზე, ხუთი საათის ლაპარაკის შემდეგ იმპერიის კვალად აღდგენის წინააღმდეგ, მიკტორ ჰიუგოს ტრიბუნაზე გულს შემოეყარა. ის სიტყვები, რომელიც მაშინ წარმოასთქვა, მის თქმულთა შორის საუკეთესოა არიან.

გვაქვსო. რუს-ოსმალის ომის შემდეგ ბერმანიამ მჭიდროდ დამოკიდებულება დაიკორა ოსმალეთთან და შემდეგ ამისა სპარსეთზედაც მიექცია ყურადღება, მაგრამ დიპლომატიური კავშირის გამართვას სპარსეთთან კიდევ არა სთვლიდა თ-დი ბისმარკი საქიროდ; ეს არ აამებდა ინგლისს, რომელთა-ნაც კავშირის დამკვიდრება იმ დროს აუცილებლად საქირო იყო. მხოლოდ როცა ბერმანიამ კოლონიალურს პოლიტიკას მოჰკიდა ხელი და ამ საქმეში ხელის-შემშლელად ინგლისი აღმოუჩნდა, თ-დმა ბისმარკმა მიჰხედა სპარსეთს და მისიაც გაგზავნა თეირანში. მისიას უნდა გამოეცლია, რა პოლიტიკურს სარგებლობას მისცემდა ბერმანიას არა მარტო სპარსეთის, არამედ ამ სახემწიფოს აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების დახლოვება. ბავიდა წელიწადი, სპეციალურმა გერმანიის მისიამ ბევრი საქმე მოაგაფხა: თეირანში შესამჩნევი გაეღენა დაიმკვიდრა ამ მისიამ და მცირე ხნის შემდეგ ბერმანიის ფინანსიურ წრებში სპარსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებში რკინის-გზის გაყვანაზედაც დაიწყეს ლაპარაკი. შთავრესი ყურადღება მიჰპრობილი იყო ბაქოს ნავთზე, რომელსაც ამ გაყვანილ გზებით გაიტანდნენ ინდოეთისაკენ. ბარდა ნავთისა ამ გზებით მასპიის ზღვაში შემოვიდოდა აუარებელი სხვა-და-სხვა საქონელი ინდოეთიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან და ფეთი მეროპილიდან. ამ რიგად სპარსეთის სავაჭროები გაიჭეჭებოდა ჩამოთვლილ ქვეყნების ნაწარმოებ სხვა-

დევებრის 2-ს არეულობის დროს მან სცადა ბოლენთან, შელხერთან, მადიე-დემანქოსთან და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკელ დემოკრატებთან ერთად მოწინააღმდეგე საზოგადოების შედგენა. „ნაპოლეონ პატარა“-ში და „მრთი ბოროტ-მოქმედების ამბავში“ — ორ საწინააღმდეგე წიგნში, რომელნიც დაწერილნი არიან 1852 წ. და რომელთაგან უკანასკნელი დაიბეჭდა მხოლოდ 1877 წ., მან აღწერა ეს დღეები, მაგრამ მტერთა მისი განდევნა განიზრახეს.

მიკტორ ჰიუგოს სახელი პირველი ჩასწერეს გასადგენელი პირების სიაში და ჯილდოც დასდევს მის დასაჭერად. როდესაც დამარცხდა მოწინააღმდეგე დასი, მიკტორ ჰიუგომ სცადა ხელიდამ გასხლტომა. ამოად ეხვეწებოდა მრავალ თავის ძველ მეგობართაგანს — დავებალათ იგი, მაგრამ უარი სთქვეს. მრთამ მისმა ნათესავმა, რომელიც ლეგიტიმისტურ გზეთს ხელმძღვანელობდა, აღმოუჩინა დახმარება და ხუთს დღეს დამალა თავის სახლში; მასუკან უმოგვა პასპორტი და გააცილა ჩრდილოეთის ვაგზა-ლამდე. მიკტორ ჰიუგო მოვიდა ბრიტუსელში დეკემბრის 14; მისი ორი ვაჟი, რომელნიც დეკემბრის 2-ს არეულობის დროს დატყვევებულნი იყვნენ, — თავიანთ გაზვების მთელი ზედსაკითხურთ, წაგიდნენ დევნულ მამასთან. ნაპოლეონ პატარასაგან მომხდარ-

და-სხვა საქონლებით. ამ ვარემოებანე უთიფებენ რუსული ვაზეთები თავიანთ მმართველობას. რუსეთის საქონელს კარგი გასაყალი აქვს სპარსეთში და, ცხადია, რა საზარალო იქნება რუსეთისათვის ხსენებულ ქვეყნების საქონლის შემოტანა სპარსეთში.

საზრანგეთი. მისის 18-ს მომხდარა უკანასკნელი წირვა წმ შენევივას (პანთეონი) ტაძარში და ამის შემდეგ მთელი სამკაულ-მორთულობა ეკლესიური გადუტანიათ წმ. სტეფანეს ეკლესიაში. ხალხის გროვა მთელი დღე მიდიოდა პანთეონში. მრთნი, ეკლესიის მიმდევარნი, მიდიოდნენ, რომ უკანასკნელად მუხლი მოედრიკათ, და სხვანი-კი ქუდ-მოუხდელნი შედიოდნენ პანთეონში საუცხოო მხატვრობის დასათვალიერებლად. ამ დღეს პოლიციის დარაჯნი გააძლიერეს. ამ დღესვე ახსნეს პანთეონის წინა კედელზე ჯვარი. ლაპარაკობენ ზამბეტას გვამის გადმოტანაზე პანთეონში. მისის 17-ს Grand-Hôtel-ში შეიკრიბნენ მიკტორ ჰიუგოს თაყვანის-მცემელი პოეტის ძველის აგებაზედ მრალაპარაკებისათვის. მრებამ ამოიჩინა კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს ძველისათვის. კომიტეტში, სხვათა შორის, არჩეულ იქნენ შმილ მუჟი, კლორეტი და ლოკრუა.

მსპანია. ხოლგვამ იჩინა კიდევ თავი მსპანიის ზოგიერთ კუთხეებში. მეცნიერული კომისია ექიმის შერანის ხელმძღვანელობით ენერგიულად მოქმად შეიბეჭდილებამ, მეტად შეაშინა ბელგიის მმართველობა, რომელსაც არ უნდოდა დენნილის შენახვა თავის მიწა-წყალზე. ბანდენის კანონის არა-მქონე ბელგიის პარლამენტმა გამოსცა განგებ ამ შემთხვევისათვის კანონი და მიკტორ ჰიუგო გადხვეწა შერსეში, სადაც იქირადა ერთი სახლი „ზღვის შვიდნის“ სახელით ცნობილი. იქიდან შეატყობინა თავის მტკიცე განზრახვა, ჩემს დღეში საფრანგეთს არ მოეცარები, სანამ იმპერია არ დაეცემა.

თავის სიტყვა შემდეგი ტავით განამტკიცა: „მკაცრს დენილებაში ვარ და მიკისრია იგი, თუნდ არა ჰქონდეს არც ბოლო, არც სამშლელი. მა არც ყურადღებას ვაქცევ, თუ ვინმემ წელი მოიდრიკა იმისთანამ, რომელიც უფრო მხნე ეგონათ; თუ შიში აიცილეს იმისთანებმა, რომელნიც არ უნდა შეშინებულ იყვნენ. თუ მათი რიცხვი ათასია, მეც იქა ვარ; ასიც რომ იყვეს, მანც კიდევ სილოას არ შევეპოვები. თუნდ ათიც არ დარჩენილიყოს, მე ვეათე ვიქნები; და თუ მხოლოდ ერთი-ლაა, ეს ერთი მე ვარ“. „ნაპოლეონ პატარას“ და „სასჯელთ“ (Chatiments) ჯავრისა და ღრტინების სული უდგიათ; იგინი წარმოადგენენ ორს უმაღლესი მამული-მეილობით აღბეჭდილ გრძობას. პირველი ამ ნაწარმოებთაგანი 1851

მეღებ. ეს ის შერანია, რომელმაც გა-
მოიკვლია ხოლოდის ატრა.

მოსკოვი, მაისის 17.

პე, სოფელი, რასშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გქონდა?
ყოველივე შენი მოხდობილი
ნიადაგმაც ჩემგან სტირსა!

მთა რუსთაველი.

ამ მშვენიერსა დილას
კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა!
გ. თარგმანი.

...მამა ბრიგოლი! რას გწერ მე სა-
წყალი... ბვილატა ვილაც იუდამ
და მოგაშორა ჩვენი გულითადი მე-
გობარი... მსტატე მქედლიძე! ნეტავი
პატოსანს კაცს თუ ეცხოვრება ამ
ქვეყანაზე?!... БЫТЬ ЧЕСТНЫМЪ ЗНА-
ЧИТЪ РИСКОВАТЬ ЖИЗНЬЮ...

...! 8-ს ამთვის მუთაისში იმი-
სთანა საზიზღარი ამბავი მოხდა,
რომ ვერ წარმოიდგენ. ღლისით
შუაგულ ქუჩაზედ ვილაც ღეთის მგმო-
ბელმა დაახალა რევოლვერი მსტა-
ტე მქედლიძეს... რამდენიმე საათს
უკან განუტევა სული საწყალმა?!

აი, რა გულ-საკლავი ამბავი მომი-
ტანა სამშობლოდამ ორმა თავ-ზარ-
დამცემმა წერილმა ზედი-ზედ. ეს ამ-
ბავი ყველა პატოსან კაცს დალო-
ნებს, ასეთი მხეცური მკვლელობა
ყველას ალაშოთებს, ვინც იცნობდა
და არ იცნობდა საწყალობელს. აზ-
რი ვერ ითვისებს იმ გრძობას, რომ-
მელმაც მიიყვანა მისი გაშმაგებული

მტრები ამ საშინელებად, გონება
ვერ მორიგებია ამ უკაცურს გრძო-
ბას და გრძობა იმას, რაც მოხდა...
ბინდა, რომ ეს ყოველივე იყოს სა-
ძაგელი მოჩვენება, სიზმარი, გულ-
დასალონი, შავი სიზმარი, მაგრამ
სად წაუხვალ ამა სოფლის ნამდვილ
სიმწარეს... ღიად, რაც მოხდა სიზმა-
რი როდია... მოჰკლეს, გაჰგვირეს
გული, რომელიც ყოველს წამს ფეთ-
ქებდა მოძმისადმი უმაღლესის და
უპატოსანის სიყვარულით. ვერ იგუა,
ვერ შეითვისა სოფელმა ეს სიყვარუ-
ლი და ღღეს მსტატე, რომელიც
ერთს წამსაც არ დაფიქრებოდა,
რომ თვისი მოძმის, თვისი სამშობ-
ლოს სადღეგრძელოდ, თუ მოითხოვ-
და გარემოება, შეეწირა სული და
ხორცი, სიცოცხლე, ამავე მოძმის
ხელით ღალატით გამოეთხოვა ღღის
სინათლეს, სამშობლოს, საყვარელ
მშობელთ, ტოლს, მეგობარს, გრძო-
ბას, ოცნებას... მხ, რა მწარეა
უღრო სიკვდილი! მწარე და საზა-
რელია მოხუცებულის სიკვდილი,
ბევრად უფრო მწარე და საზარელია
ცხოვრებაში ახლად ფეხ-მედგმულის
ახლგაზღასი... სიმწარე მატულობს,
როცა ეს ახლგაზღა იყო სამშობ-
ლოს მსახურებით გამსჭვალული, პა-
ტიოსანი და ნიჭიერი მუშაკი... სიმ-
წარეს აღარა აქვს სამზღვარი, თუ
სიკვდილი, როგორც ახლა, მოხდა
არა უსულო ბუნების აუცილებლო-
ბის წყალობით, — როცა არც სენს
მოუკლავს იგი, არც მთილამ წამო-
სულ ზევს, არც აღიდებულ წყალს,

ლად დაიბეჭდა სენტელიეში. მხუ-
ლება საოცრად გავრცელდა: მთელ-
მა ქვეყანამ წაიკითხა, და იმპე-
რიის დროს კონტრაბანდის საგანს
შეადგენდა. აღკრძალეს, მაგრამ, ერ-
თი თუ მეორე საშუალებით, მოუ-
ლობდენ და კითხულობდენ მაინც.
ზანდენილსა და ყველასგან სამარ-
თაღს მოკლებულ პოეტს სარგებ-
ლობა არ უნახავს ამ წიგნის გაყიდ-
ვით და გადამბეჭდავებით ერთობ
გამდიდრდენ. პოეტი ამას სრულებით
არა სწუხდა; ბედნიერებით უყურებდა,
რომ ვრცელდებოდა წინასწარ-მეტყე-
ლობა, რომელიც აუწყებდა იმპერიას
მისი არსებობის სისუსტესა და შე-
ღღეს. ის კი ამ დროს ღარიბად იყო;
დეკემბრის ორმა დაამხო იგი; მისი
სათეატრო ნაწერები აღიკრძალენ,
მისი წიგნების გაყიდვა შეჩერდა მთელ
საფრანგეთში; მას რჩებოდა შემოსავ-
ლად მხოლოდ რენტა — შეიდი ათასი
ფრანკი, რომლითაც უნდა ერჩინა
ცხრა სულისაგან შემდგარი ოჯახი.
იგი იძულებული შეიქნა გაეყიდა
სახლის ავეჯეულობა. მთავრად მო-
ტიემ იხმარა სულ-გრძელობა და გა-
მართა ხელის მოწერა, რომ ავეჯი
აღარ გაყიდულიყო; მაგრამ, ამ ჟე-
მად 1852 წელი იდგა და მისი ზარ-
დაცემობის გამო არავის არ უთხო-
ვებია ყური.

მიკტორ ჰიუგოსა სთხოვეს ჰერსე-
ის კუნძულიდამ გამოსულიყო, რად-
განაც იგი წინააღმდეგად განდომიდა

არც ტყის ნადირს, არც მიხს, არც
გრეგალს... როცა არად, მტვრად აქცია
სიცოცხლითა და ნიჭით, ძალითა და
იმედით აღდგომი ქაბუკი უღმობელი
ადამიანის უფუნურებამ და დაუნდო-
ბელმა ბოროტებამ, როცა ბოლო
მოულო მას „ღეთისა ხატად და მსგავ-
სად“ შექმნილი ადამიანის ხელიდამ
აეზაკურად, ზურგს უკან ნასროლმა
ტყვიამ. შევლას შედარწუნებს და და-
ლონებს საწყალი მსტატეს სიკვდილი,
ყველა მოაზრებული ქართველი იგრ-
ძობს ამ უღროდ მოკლულის ძა-
ლის დაკარგვას ჩვენი ღარიბი ცხოვ-
რებისა და ლიტერატურისათვის, ყვე-
ლა შეწუხდება... მაგრამ იმისი გული,
ვისაც, როგორც მე, ჰქონია განსვენ-
ებულთან დაახლოებული მეგობრო-
ბის, აწ უბედურებად გადაქცეული,
ბედნიერება, მისი გული არ გამრთელ-
დება სამარემდის და იქაც ჩაიტანს
ამ მუხთალი და შეუბრალებელი,
უსამართლო სოფლის საყვედურს!...
რალა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი გრძო-
ბისა და ოცნების ღვლევა, ჩვენი აღ-
ზნებული სულის გამწარებული კვე-
თება, ჩვენი ღღის ხნით მომზადება
მამულის ბედნიერების საკურთხეველზე
ამ მომზადების შესაწირად, თუ გავე-
წირავს და ერთი წამის განმავლობაში
ფუჭად, უქმად ყველაფერს ბოლოს
მოუღებს, ვისთვისაც ვიწვით, იმავე
მოძმის უფუნური ტყვია! საწყალი მს-
ტატის მკვლელობას დიდი საზოგა-
დო მნიშვნელობა აქვს არა მარტო
იმით, რომ ის იყო ლიტერატურა-
ში ნიჭიერად გამოსული მწერალი,

სამი კაცის განდევნას. ამის გამო
კუნძულზედ შუთი მოხდა. მაშინ
ჰიუგომ გასწია ბერნესეში, საიდ-
განაც ვერსად ვერ წავიდრდა, თუ არ
საფრანგეთში.
„მამა ჩემმა მოგვეცა ერთი კარგი
სადგომი, რომელსაც მშვენიერი ბალი
აკრავსო, სწერდა მისი შეილი ფრან-
სუა. მას აუსრულდა ის, რასაც ოცი
წელიწადია ოცნებობს: ზღვის პირად
ცხოვრება. საკვირველია, რომ ტურ-
ლოვერის ქუჩის მცხოვრები მიკ-
ტორიას (ახლანდელი ინგლისის დე-
ლოფლის) მეტეგრე გახდა. მეტეგრეს
ხუმრობით კი არ ეძებობ: მამა ჩემი
ორ ქათამს აძლევს ღალად დედო-
ფალს. სხვებ, ყველანი ვშრომობთ,
მამა ჩემი ათავებს Petites epopées —
„პატარა ეპოპებს“. შარლი რომანსა
სწერს და მე კი საფრანგეთს შექსპირს
ვაძლევ და ამ ჟამად ჩემს სურვილს
მით ვსაზღვრავ, რომ ამ უღიდესი გე-
ნიოსის ერთგული მთარგმნელი ვარ“.
ამას აქედ შესანიშნავს პოეტის სახლს
ერქვა ჰოტილოპუზი.

ღვენილი ხედავდა, რომ დიდი სა-
ხელი მოიხვეჭა. იმავე დროს, როცა
მისი გონება უმაღლესს რაჟმე დაეწა-
ფებოდა, მისი სახელი და ღიდებაც
სიცოცხლეშივე იღებდა უმაღლესს
კურთხევას, რომელიც, ჩვეულებრი-
ვად, მხოლოდ მკვდართათვის ბრწყინ-
ნავს.
მთელი ქვეყანა იცნობდა მას ერთ
იმ მსოფლიო გენიოსთაგანად, რომ

რომლის ნიჭედაც საფუძვლიანად
დამყარებლით დიდს იმედებს, არც იმი-
ტამ, რომ იგი მატროსანი პრინციპე-
ბის მტკიცედ მიმდევარი მოღვაწე იყო:
ეს მკვლელობა მწარედ აფიქრებს და
შავად უბურავს გულს ყველას, ვისაც
კი გული შესტკივა ჩვენი საზოგადო-
ებისათვის, ვინც აკვირდება მისი ცხო-
ვრების წესა და კარგს. რა უნუგეგმო,
რა ღრმა ხრწნილების სურათი წარ-
მოუდგება იმის თვალს! რა სასოწარ-
კვეთილებით, გლოვით სავსე ფიქრები
შემოსავენ იმის გულს! სად ეს ცხოვ-
რობთ, ვინა ვართ, ვისთვის, რისთვის
ვიღწვით, ნუთუ აზრი აქვს ჩვენი
ღვაწლის საგანს! მკ, ჩემო მსტატე,
ბევრი მწარე, გულ-დასალონი წამე-
ბი გაგვიტარებია მე და შენ, ბევრი
გულ-საკლავი ეჭვი, ისეთი ეჭვი, რომ
მელიც სიცოცხლითვე გვაჰკრებს და
გვიკარგავს ფერს, გამიზიარებია მე
შენთვის, ბევრჯელ გავუქმწვევივარ,
უცია ჩემთვის ნუგეში შენს მეგობ-
რულს, დამიბედებელ სიტყვას, მაგ-
რამ ახლა შენი სიკვდილი ერთხელ
კიდევ მიმტკიცებს, რომ „სიცოცხლე
იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს
ქამს გრძელსა... მშვიდობით, მეგო-
ბარო, ამიერიდამ არავითარი ამა ქვე-
ყნის სიბილწე აღარ ააშოთებს შენს
საუკუნოდ შეჩერებულს გულის ცემას,
შენს ხსენებას! შენს მწუხარე და წა-
მებულ სახეს ველარაფერი ამოხოცავს
შენი დაობლებული მეგობრის გული-
დამ!

გ. უმწიფარიძე.

წ. დეკემბრის უბედური ღღების
მბასრავი მოთხრობა და მკვლელო-
ბის განმზრახველთ ბრალდების აქ-
ტი. ეს ისტორიის უხრწნელი ძეგ-
ლია.
ამ წიგნის საწერი მელნის ბოთლი
ატარებდა შემდგეს სახელს:

De cette bouteille sortit
Napoléon le Petit.

(ამ ბოთლიდამ გამოძერა ნაპოლეონ-
ნი პატარა). მეორე წიგნი „ნაპოლეონ
პატარის“ დამატებას შეადგენს; ამ
ნაწარმოებში ორონია და კიცხვა გე-
ნიოსის ხელით არის განვითარებული.
მის ღღეში არ მიღწეულა ამისთანა
ძლიერების ხარისხამდე საზარისა და
სასაკლოს კავშირი; იმპერიის დამ-
წესებელნი იქ არიან დადალულნი
გაბურებული შანთით და გვემულნი
სხვა-და-სხვა კილოთი დაწერილი ტე-
პებით. მორნებს, სენტარნოებს და
მათ მესვეურებს (consorts) სამუდა-
მოდ დაჩინებთ ის დღი, რომელიც
დასავა მათ უკედამა თხზულებამ.

მელგვიდამ გამოგდებული მიკტორ
ჰიუგო ოჯახითურთ წავიდა ჯერ-
ჯერობით შერსეში და მასუკან და-
ბეჭდა პირველად თავის „სასაჯელნი“. პირველი
გამოცემა გამოვიდა ბრიუ-
სელში, 1853 წ., მაგრამ, მელგვის
მმართველობამ, საფრანგეთის ბატო-
ნისადმი შიშით, დაამახინჯა რამდენი-
სამე ალაგის გამოგლეჯით; ამის
მიუხედედა, იმავე წელში სრუ-

მელნიც თითონ შეჰკრიბა თავის Wil-
liam Shakespeare-ში (მილიამ შექს-
პირში). ამ წიგნს თვით ნეტორი-ლა
აკლდა მხოლოდ.

შველა მხრიდამ ქება-ღიდება მოს-
დიოდა. შლორენციის მონფლორანი-
ერმა გამოუგზავნა ღანტეს საიუბილეო
მედალი. მიკტორ ჰიუგო ამის გამო
ამბობდა:

„იტალია განხორციელებულა ღან-
ტე პლიგიერში. როგორც იგი, ისე
ესეც მამაცია, მაფიქალი, ამაყი,
სულ-ღიდი, მეომარი, მოაზრე. რო-
გორც იგი, ისე ესეც უღრმესი სინ-
თებით რეეს ერთად პოეზიასა და ფი-
ლოსოფიას. მასავით უნდა თავისუფ-
ლება. მასავითა აქვს ღიდება, რომ-
მელსაც იმყრებს თავის ცხოვრებაში,
და თავისუფლებს, რომელსაც იმყა-
რებს თავის ნაწარმოებში“.

პორტუგალიის მეფის მინისტრმა
მას ოფიციალურად აცნობა — რო-
გორც მონარქს — სიკვდილით დასჯის
მოსაზება იმ ერში, რომლის წარმო-
მადგენელი იყო.

ღაით ღანტემ გააკეთა და გა-
მოღვა მისი ბიუსტი. პოეტმა დაბრუ-
ნების შემდეგ მოქანდაკეს გაუგზავნა
წერილი, სადაც ეუბნებოდა:

„ჩემო მოქანდაკე, ერთ ღღეს
თქვენ გვირგვინი დამადგით თავსა და
მე გითხარით: „ეგ რად ჰქენით-მეთქი“?
თქვენ ვესმოდათ ღვეწულებსა, მოამე-
ციტ ხელი, მარმარილოს პოეტო.“

(დასასრული ხვალ)

